

უწყობს ქართულში სიტყვა **სწორის** დაახლოებით ანალოგიური ნიუ-ანსით ხმარება გამოთქმაში: **დღეის სწორს**.

ქართულისათვის არაბუნებრივია აგრეთვე გამოთქმები: **ფინიში ჰქონდა, მძლავრი ფინიში** და სხვ. მაგ.: „ზეფელდის მთებში **ფინიში ჰქონდა** ვაჟთა სათხილამურო რბოლას 15 კილომეტრზე“ („თბილ.“). ესეც რუსულიდან შემოსული კალკი ჩანს. აქ მარტივად და ქართული-სათვის ბუნებრივად უნდა თქმულიყო: **ზეფელდის მთებში დამთავრდა** ვაჟთა სათხილამურო რბოლა; „**კარგი ტექნიკა, მძლავრი ფინიში** და წამმზომები აღნუსხავენ თითქმის 3 წამზე უკეთეს დროს“ („კომ.“).

მაშასადამე, სიტყვა **ფინიშის** მონაწილეობით შედგენილი გამო-თქმების გამოყენებისას მეტი სიფრთხილე და ზომიერებაა საჭირო, რათა ამ სიტყვის არადანიშნულებისამებრ გამოყენებამ გზა არ გაუკა-ფოს სალიტერატურო ქართულისათვის არაბუნებრივ სიტყვათშეხა-შებებს.

ფრედ ითამაშებს. ამ გამონათქვამს ხმარობენ შემდეგი მნიშვნე-ლობით: თამაშს ფრედ დაამთავრებს, თამაშის შედეგი ფრე იქნება. მაგ.: „საქართველოს წარმომადგენლებმა... **ფრედ ითამაშეს** ბელორუ-სიასთან“ („ლელი“); „რუსთავის „მეტალურგმა“ დაამარცხა ჩელია-ბინსკის (2:0) და აღმა-ათის (2:0) გუნდები და **ფრედ ითამაშა** დონე-ცკის „შახტიორთან“ („ლელი“).

ამ შესიტყვების წევრები — **ფრედ** და **ითამაშა** — ვერ ჰგუობენ ერთმანეთს: თამაში პროცესია, ხოლო **მოგება, წაგება, ფრე** — შედე-გი. გარკვეული შედეგის მქონე შეიძლება იყოს არა თამაში (პროცე-სი), არამედ მისი და მთავრება. ამიტომ ბუნებრივი გამოთქმებია: **თამაში დამთავრდა** (დასრულდა) მისი **მოგებით, თამაში წაგებით დაამ-თავრა** (ანდა: თამაში მოიგო, თამაში წააგო), **თამაში ფრედ** (ყაიმით) **დამთავრდა** (დასრულდა). მაგრამ შეუძლებელია ითქვას: **ფრედ ითა-მაშა**, ისევე როგორც: **ყაიმით ითამაშა**.

3

ქორწილში / ქორწილზე. მიიწვია, მიპატიუა, წავიდა, იყო და მსგავსი სემანტიკის მქონე ზმნებთან **ქორწილი** ტრადიციულად -ში თან-დებულებიანი ფორმით იხმარება: „ვაჟი ვერ შეგუებია ამხანაგის დაკარ-გვას და მუდამ მასზე ფიქრობს — **ქორწილშიაც მიიწვევს ცივ საშა-რეში მწოლარეს**“ („ხალხ. სიტყ.“); „**შეზარბოშებულ მძღოლს გაახსენ-და, რომ... მეგობართან ქორწილში იყო დაპატიჟებული**“ („კომ.“);

„ქორწილში, „გადახურვაზე“, დაბადების დღეზე, ქელეხში თუ სხვაგან თავს იწონებდნენ დიდი თანხის ვალებით“ („თბილ.“).

აღნიშნული სემანტიკის ზმნებთან -ზე თანდებულებიანი ფორმები უმართებულოდ არის გამოყენებული: „მალე ქორწილზე მიპატიჟებულმა ხალხმა იწყო დენა“ („სოფლ. ცხოვრ.“); „...ლიბარტელიანმა ქორწილზე... დაიგვიანა“ (იქვე); „კომკავშირლები არ უნდა დადიოდნენ ზომას გადასულ, დიდ ქორწილებზე“ („ახ. კომ.“); „იგი სულ ქუჩაშია, ბიჭებთან ერთად დადის ქორწილებზე“ („ახ. კომ.“).

ქორწილი (ქორწილები) ყველგან ტრადიციული, -ში თანდებულებიანი ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი.

ქოხმახი. ეს რთული სიტყვა (კომპოზიტი) მიღებულია ფუძის გაორკეცებით, ოღონდ ისე, რომ მეორე ნაწილში იცვლება მთელი დასაწყისი მარცვალი (ასეთივე კომპოზიტებია: გიჟმეფი, კუჭმაჭი, ძონძმანძები, ცოტამატა...). **ქოხმახი** ნიშნავს: პატარ-პატარა ღარიბული სახლები, ქოხები. ამდენად **ქოხმახი** სიმრავლის ვაგებას შეიცავს და უპირატესად მრავლობითი რიცხვის ფორმით იხმარება: **ქოხმახები**. შდრ.: ძონძმანძები (=ძონძეულობა). მაგ.: „მამლის ყვირლზე ქოხმახებში მძინარე ხალხმა შეიხშიანა“ (გ. ლენ.), „ახლო-მახლო რაღაც დანგრეული ქოხმახები იყო“ (ა. ცაგარ.).

ერთი ქოხის აღსანიშნავად ეს სიტყვა არ იხმარება და შეცდომითაა იგი გამოყენებული შემდეგ წინადადებაში: „აი, იმ ბეწინაზე ტივს გახედე, ხედავ, იმაზე ჩალის ქოხმახი [უნდა იყოს: ქოხი] დგას“ (ი. ვარდ., თარგმ.).

ჭულას აიღებს / ჭულას მიიღებს. ეს გამოთქმები უცახსკნელი ხანების სპორტულ პრესაში გავრცელდა შემდეგი მნიშვნელობით: ჭულას მოიპოვებს, ჭულებს მოაგროვებს. ტერმინი **ჭულა** სპორტის ენაშიც გამოიყენება და ნიშნავს მოგების აღმნიშვნელ სათვალავ ერთეულს სპორტულ თამაშში, შეჯიბრებაში. სპორტულ შეჯიბრებებში შეიძლება **ჭულის მოპოვება**, **ჭულების მოგროვება** და არა: **აღება** ან **მიღება**. ამ ზმნათა მნიშვნელობები **ჭულა** სიტყვას ვერ იკუთვნებს. მყარ და ფიგურალურ გამოთქმებს ეს ზმნები ბევრ სიტყვასთან ქმნიან. მაგ.: თავს აიღებს, ხელს აიღებს, კისრად აიღებს, სისხლს აიღებს, სუნს აიღებს, ეჭვს აიღებს, ზომას აიღებს, ნებართვას აიღებს, კვალს აიღებს... გადაწყვეტილებას მიიღებს, მედალს მიიღებს. ჯილდოს მიიღებს, ნიშანს მიიღებს, გმირის წოდებას მიიღებს და სხვ. ამ ზმნებთან სიტყვა **ჭულის** შეხამება უჩვეულო სინტაგმას ქმნის. მაგ.: „სტუმრებმა ძალიან ძლიერად ითამაშეს და ორი **ჭულაც** დამსახურებულად **აიღეს** [უნდა იყოს: მოიპოვეს]; „ხუთი მარცხიანი ტურის შემდეგ „ლოკომოტივმა“ შეძლო ორი **ჭულის აღება** [უნდა იყოს: მოპოვება]; შდრ.: „ი. ნასყიდაშვილ-

მა... დღემდე მოპოვებული (სწორია) 47 ქულიდან 37 სწორედ გიგანტურ სლალომში მიიღო [უნდა იყოს: მოაგროვა]“ („ლელო“).

ქუჩაში/ქუჩაში. ქუჩა არის დასახლებულ პუნქტებში სახლების ორ მწყობრს შორის არსებული მიმოსვლისათვის განკუთვნილი ადგილი, გზა, სივრცე (ქეგლ, СРД). იგი ადგილის გარემოებად კონტექსტის მიხედვით -ზე თანდებულებანიც შეიძლება იყოს და -ში თანდებულებანიც. მაგ.: „მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ“ (ლ. ასათ.), მაგრამ: „ქუჩაში, მტერში წაიქცა ბავშვი“ (გ. ტაბ.). ენაში ამ ფორმათა გამოყენებისას გარკვეული კანონზომიერება შეინიშნება.

1. -ზე თანდებულებანი კონსტრუქცია, როცა კონტექსტით რომელიმე კონკრეტული ქუჩის დასახელება ან რომელიმე კონკრეტულ ქუჩაზე მითითება ხდება. მაგალითად, შეკითხვას — რომელ ქუჩაზე ცხოვრობ? — ბუნებრივად მოსდევს პასუხი: ბარათაშვილის ქუჩაზე, ტაბიძის ქუჩაზე, ამ ქუჩაზე, ჭავჭავაძის ქუჩის პარალელურ ქუჩაზე, ქალაქის მთავარ (ცენტრალურ) ქუჩაზე...

დასახელების გარეშეც -ზე თანდებულებანი იქნება ქუჩა ზმნასთან გადადის. მაგალითად, ერთნაირად მართებულია როგორც ტაბიძის ქუჩაზე გადადის, ასევე: ქუჩაზე გადადის. წარმოდგენილ კონსტრუქციაში სახელის ამგვარ გამოყენებას ზმნის სემანტიკა განსაზღვრავს, ზმნას კი ამ მნიშვნელობას გადა- ზმნისწინი ანიჭებს. შდრ.: წყალზე, ხიდზე, ღობეზე... გადადის.

2. სხვა შემთხვევაში, როცა კონტექსტის მიხედვით ფაქტი გვიანტერესებს და არა კონკრეტულად ის ადგილი, სადაც ეს ფაქტი მოხდა, ე. ი. როცა ქუჩის არც დასახელება ხდება და არც რომელიმე ნიშნის მიხედვით მასზე (როგორც რომელიმე კონკრეტულ ქუჩაზე) მითითება, ქუჩა -ში თანდებულებანი იქნება. მაგ.: „ქუჩაში / მძაფრი დაქროდა ქარი და განუწყვეტლად წვიმდა და წვიმდა“ (გ. ტაბ.); „და შენ, ქუჩაში რომ გაიარო, ფოთლები წალმა შემომავარე“ (ა. კალანდ.); „ზარბის რეკვაზე ვინც ქუჩაში იყო, შეჩერდა, ვინც ქუჩაში არ იყო, გარეთ გამოვიდა“ (ლ. სულხ., თარგმ.); „თბილისელები უკმაყოფილონი დააბიჯებდნენ დათოვლილ ქუჩებში“ („თბილ.“). ასევე: ქუჩაში მიდიოდა, ქუჩაში ეგდო, ქუჩაში იპოვა, ქუჩაში გავიდა, ქუჩაში გავარდა, ქუჩაში ხეტიალობს, ქუჩაში წაიქცა, მთელი დღე ქუჩაშია (მთელი დღე ქუჩაში რას აკეთებს?), მანქანა ქუჩაში გააჩერა, ქუჩაში სროლის ხმა გაისმა, თბილისის ქუჩებში ხალხმრავლობაა, ანგრეულ ქუჩებში სიარულია მისი.

პირდაპირი მნიშვნელობის გარდა, გადატანითი მნიშვნელობაც აქვს შესიტყვებას ქუჩაში აღმოჩნდა, ნიშნავს: უსახლკაროდ დარჩა). გადატანითი მნიშვნელობით იხმარება ქუჩაში გააგდო (ნიშნავს: უსახლ-

ქაროდ დატოვა; სამუშაოდან დაითხოვა; ცხოვრების საშუალება მოუსპო). ამ გაგებითვე იხმარება **ქუჩაში აგდებს** და **ქუჩაში ერეკება** (ამ უკანასკნელთან მრავლობითში დასმული სახელი ივარაუდება ობიექტად). მაგ.: კაპიტალისტური ცხოვრების წესი **ქუჩაში ერეკება** ათასობით მშრომელს.

გადატანითი მნიშვნელობით **ქუჩა** არის ვარემო, რომელიც მოკლებულია საზოგადოებისა და ოჯახის კულტურულ ზემოქმედებას (CPI). ამ მნიშვნელობით **ქუჩა** სათანადო კონტექსტში **-ში** თანდებულის იქნება. მაგ.: **ქუჩაში** რა უნდა ისწავლოს მოზარდმა?

ქუჩა სასაუბრო მეტყველებაში **გარეთ** ზმნისართის ფუნქციითაც იხმარება. მაგ.: **ქუჩაში ცხელა** (ცივა). **ქუჩა** ამ შესიტყვებებში **-ში** თანდებულისა და სახლების ორ მწკრივს შორის არსებულ სივრცეს ნიშნავს.

ის თავისებურება, რომელიც ენაში **-ზე** და **-ში** თანდებულის ფორმათა გამოყენებას ახლავს, ზოგჯერ არ არის ხოლმე ვათვალისწინებული და მოსალოდნელი **-ში** თანდებულისა ფორმის ნაცვლად **-ზე** თანდებულისა ფორმა გვხვდება. **ქუჩაზე** ფორმა უმართებულოდაა ნახმარი კონტექსტებში: „ღვინით შექვიფიანებულმა ყმაწვილმა **ქუჩაზე** უმეთეილყურთოდ მიტოვებული ტაქსი დაინახა“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ტრანსპორტით გადატვირთულ **ქუჩაზე** მანქანის გაჩერება სამოძრაო ნაწილის ერთი რიგის გაუქმებას ნიშნავს“ („თბილ.“); „დგას ავტომობილი **ქუჩაზე**, დგას გზის პირას, დგას მოედანზე და ელის ადამიანს“ („თბილ.“); „მეზობელ **ქუჩებზე** კი მზის პირველი სხივების გამოჩენისთანავე იწყება ქალაქის ხმაურიანი ცხოვრება“ („თბილ.“); „ახლა კი, გვერანებულ **ქუჩებზე** რომ მივდიოდით, უფრო ძლიერ ვგრძნობდით, რა დიდი... ამოცანა იდგა გერმანელი ხალხის წინაშე“ („თბილ.“). უნდა იყოს: **ქუჩაში ტაქსი დაინახა, ქუჩაში მანქანის გაჩერება** და მისთ.

როგორც ჩანს, ფორმათა უმართებულო გამოყენებას ხელს უწყობს სიტყვა **ქუჩით** შედგენილი სათანადო რუსული შესატყვისები (ისინი на წინდებულისებზე არიან) და, ასევე, ანალოგიური შესიტყვებები, რომელთაც **ქუჩის** სემანტიკური წრის ფართოდ გავრცელებული სახელები (მოედანი, გამზირი, პროსპექტი, მაგისტრალი, გზატკეცილი, ტროტუარი, ქვაფენილი) ქმნიან. ყველა ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში, კონტექსტისაგან განურჩევლად, ეს სახელები **-ზე** თანდებულისებზე არიან. მაგ.: მანქანა გაჩერა **მოედანზე** (ლენინის მოედანზე), პროსპექტზე (მშვიდობის პროსპექტზე), გზატკეცილზე (კახეთის გზატკეცილზე), ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალზე, ტროტუარზე, ქვაფენილზე.

ენაში იშვიათად საპირისპირო შემთხვევაც შეინიშნება, კონტრ-ქსტის მიხედვით კონკრეტულ ქუჩაზეა საუბარი, სახელი კი -ში თან-დებულებიანი ფორმით არის წარმოდგენილი. მაგ.: „შრაგინი იმ ქუჩაში [უნდა იყოს: ქუჩაზე] იდგა, რომლითაც... გერმანელთა ჯარები ქალა-ქის გავლით წინ მიიწევენ“ (ი. იაშვი., თარგმ.).

იხ. აგრ. -ზე / -ში.

ღ

ღამე ნებისა. ღამით გამოთხოვებისას, დამშვიდობებისას ქართუ-ლი ენა იყენებს ფორმულებს: **ღამე მშვიდობისა და ძილი ნებისა:** „ღამე მშვიდობისა, ჩემო რძალო და ძილი ნებისა!“ (აკაკი); „— ძილი ნებისა, ბატონო გიორგი“ (თ. გოგოლა.); „— ძილი ნებისა“ (ი. იაშვი., თარგმ.).

უკანასკნელ ხანებში ზეპირი გზით გავრცელდა ანალოგიური მნიშვნელობით ხმარებული გამოთქმა—**ღამე ნებისა**, რომელიც ქველ-ში სასაუბრო ფორმად არის კვალიფიცირებული („საუბ. იგივეა, რაც ძილი ნებისა“). იგი მიღებულია გამოთქმების — **ღამე მშვიდო-ბისა** და **ძილი ნებისა**-ს კონტამინაციის შედეგად. მან ზეპირი მეტყვე-ლებიდან სალიტერატურო ენაშიც შეაღწია და ამჟამად აქტიურ კონ-კურენციას უწევს ამოსაეალ გამოთქმებს. მაგ.: „— მაშინ **ღამე ნებისა**, ჩანთისათვის ხეალ მოდი“ (ნ. ქართვ., თარგმ.); „— **ღამე ნებისა**, სერ“ (გ. ჭელ., თარგმ.); „— **ღამე ნებისა**, ექიმო ნატუშ“ (ნ. ძოწენ., თარგმ.); „— **მაშ ღამე ნებისა**, მისის ალენ...“ (ნ. ძოწენ., თარგმ.); „— **ღამე ნებისა...**“ (ი. იაშვი., თარგმ.); „— **ღამე ნებისა**, — უთხრა პასუხად დმიტრიევმა“ („საუნჯე“).

საგულისხმოა, რომ **ღამე ნებისა** ძირითადად თარგმნილ ლიტერა-ტურაში დასტურდება: სათანადო ენებში სიტყვა **ღამე** (რუს. Добр-рой ночи. ინგლ. Good night, გერმ. \ddot{u} Gulen Nacht) იხმარება. ყველა შემთხვევაში უპირატესობა ტრადიციულ ფორმულებს უნდა მიეცეს.

ღრმა; ღრმად. ზედსართავი სახელი **ღრმა**, რომლის ძირითადი მნიშვნელობაა: ზედაპირიდან ფსკერამდე დიდი მანძილის შემცველი, სიღრმის მქონე (ღრმა ჭა, ღრმა წყალი, ღრმა მდინარე...), ხშირად მო-ნაწილეობს ფიგურალურ გამოთქმებში; ღრმა კვალი, ღრმა ძილი, ღრმა ჭრილობა, ღრმა ზურგი (სამხედრო ტერმინი) და მისთ. ამ ზედსართა-ვის გადატანითი მნიშვნელობაა აგრეთვე: შინაარსის მიხედვით რთუ-